თვითშეფასება

სტუდენტი: ნინი ცხოვრებაშვილი

ლექტორი: ნია ხაჭაპურიძე

საგანი: მოქალაქეობა

1. რა საკითხს ეხებოდა პრაქტიკული/პროექტული დავალება? რატომ არის ეს პრობლემა აქტუალური?

ჩვენი პრაქტიკული დავალება ეხებოდა, ცხოვრობდა თუარა ჰომოეკონომიკუსი პრემოდენულ ხანაში. ეს პრობლემა აქტუალურია, რადგან გვეხმარება გავიგოთ, იყო თუ არა ადამიანის ეკონომიკური ქცევა ყოველთვის რაციონალურ და პირად სარგებელზე დაფუძნებული, თუ ეს მიდგომა თანამედროვე ეპოქის შედეგია.

2. თქვენთვის ცნობილი რომელი სხვა მონათესავე საკითხები უკავშირდებოდა ძირითად საკითხს?

ამ ეტაპისთვის ვერ ვიხსენებ მონათესავე საკითხებს.

3. რა საკითხთან დაკავშირებით გამოიკვეთა განსხვავებული მოსაზრებები პრაქტიკულ / პროექტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

ერთი მხარე ამტკიცებდა რომ არსებობდა ჰომოეკონომიკუსი პრემოდენულ ხანაში, ხოლო მეორე მხარე ამტკიცებდა რომ არარსებობდა.

4. რა პოზიციას იცავდით თქვენ? რა არგუმენტები გქონდათ საკუთარი პოზიციის დასაცავად?

ჩვენი პოზიცია ამტკიცებდა რომ ჰომოეკონომიკუსი არ არსებობდა. ჩვენ გვქონდა არგუმენტები რომ არიყო ეკონომიკური სისტემა და შეუძლებელი იყო საკუთრ თავზე ორიენტაცია, როდესაც ადამიანები ორიენტირებული იყო კოლექტივიზმზე, არიყო ინდივიდუალიზმი.

5. რა პოზიციას იცავდა მოწინააღმდეგე? რა არგუმენტები ჰქონდა მას?

მოწინააღმდეგე მხარე ამტკიცებდა, რომ ჰომოეკონომიკუსი არსებობდა უკვე პრემოდერნულ ხანაში. მათი აზრით, ადამიანი აბრეშუმის გზის პერიოდში ხშირად მოქმედებდა საკუთარი სარგებლისა და მოგების მაქსიმალიზაციის მიზნით, რაც ვაჭრობასა და ეკონომიკურ გადაწყვეტილებებში ნათლად ჩანს. ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ ჰომოეკონომიკუსი არ არის კონკრეტულ ეპოქასთან მიბმული ცნება, არამედ ადამიანის განვითარების დონე და ქცევის ტიპი, რომელიც სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში სხვადასხვანაირად ვლინდებოდა.

6. შეცვალა თუ არა დისკუსიამ თქვენი დამოკიდებულება საკითხისადმი?

ჩვენ დისკუსიას არ შეუცვლია ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

7. რომელი სოციალური მოვლენების/პროცესების შესახებ მიიღე ინფორმაცია პრაქტიკულ / პროექტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში? კიდევ რის გაგებას ისურვებდით იმავე საკითხთან დაკავშირებით?

ტრადიციული საზოგადოების სტრუქტურაზე და სოციალური იერაარქიის გავლენა ეკონომიკურ ქცევაზე. ვისურვებდი გავიგო უფრო დეტალურად, არსებობს თუ არა ჰომოეკონომიკოსი ჩვენს პერიოდში.

8. რა გაიგეთ პრაქტიკულ / პროექტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებზე, რომლებსაც ჩვენს ცხოვრებაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია? კიდევ რის გაგებას ისურვებდით იმავე საკითხთან მიმართებით?

დავალებამ დამანახა, რომ საზოგადოებრივ პროცესებსა და მოვლენებს დიდი გავლენა აქვს ადამიანების არჩევანსა და ქცევაზე. მომავალში ვისურვებდი უკეთ გავიგო, როგორ იცვლება ეს გავლენა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში.

9. რა გაიგეთ პრაქტიკულ / პროექტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში ძალაუფლების ბერკეტებზე, რომელთა საფუძველზეც საზოგადოებრივ/სოციალურ პროცესებსა და გარემოზე ზემოქმედების მოხდენა შეიძლება?

კიდევ რის გაგებას ისურვებდით იმავე საკითხთან მიმართებით? გავიგე, რომ საზოგადოებრივ პროცესებზე ზემოქმედება შესაძლებელია ისეთი ბერკეტებით, როგორიცაა ეკონომიკური რესურსები, სოციალური ნორმები, ტრადიციები და ავტორიტეტი. დამატებით მაინტერესებს, როგორ იცვლება ამ ბერკეტების გამოყენება სხვადასხვა ეპოქაში.

10. რა გაიგეთ დავალებაზე მუშაობის პროცესში ფაქტორებზე, რომლებიც ადამიანისა და საზოგადოების განვითარებაზე ახდენს გავლენას? კიდევ რის გაგებას ისურვებდით იმავე საკითხთან მიმართებით?

დავალებაზე მუშაობისას დავინახე, რომ ადამიანის და საზოგადოების განვითარებაზე გავლენას ახდენს ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალური ურთიერთობები, კულტურა და ისტორიული გარემო. ასევე მაინტერესებს, რა როლი აქვს განათლებასა და ტექნოლოგიურ პროგრესს ამ პროცესებში.